ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 29 იანვრის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 29 იანვრის სხდომის

ო ქ მ ი №3

დ. ხარაგაული 29 იანვარი 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

გივი თხელიძე საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ვარლამ ჭიპაშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“ -ს თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია „ ძალა ერთობაშია“ -ს თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქეთევან ზუმბაძე - ფრაქცია „ ძალა ერთობაშია“ -ს თავმჯდომარის მოადგილე,

შალვა ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარის მოადგილე

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ნიკოლოზ თოფურიძე - მუნიციპალიტეტის მერი,

ვლადიმერ გელაშვილი -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

ჯაბა ბერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვისა სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

აფრასიონ ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი,

პეტრე შარიქაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის

საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამუნა მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“

ჟურნალისტი,

ნინო კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ჟურნალისტი

თეა ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან

ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ლაშა ნიქაბაძე - ოპერატორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს

გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა

შემდეგი ნუსხა

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ნოკოლოზ თოფურიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ” ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიუროს სხდომის დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ თოფურიძის განცხადება, რომლითაც მან ბიუროს წევრებს მიმართა და აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საკრებულოში, გაცნობილი იქნებით და მზად ვარ ვუპასუხო თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებს.

პ. გოგოლაძემ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს თავმჯდომარემ ბუროს წინაშე დასვა წინადადება საკითხი განსახილველად არ გასულიყო 03 თებერვლის საკრებულოს სხდომაზე, ვინაიდან შემოსულია სახელმწიფო აუდიტის ანგარიში მუნიციპალიტეტის საქმიანობის შემოწმების შედეგებზე, რომლის განხილვასაც ჭირდება გარკვეული დრო ისე, როგორც მერის ანგარიშს და გასატარებელია გარკვეული ღონისძიებები მიზანშეწონილად მიმაჩნია მომავალ სხდომაზე მარტის თვეში გადავიტანოთ განხილვა.

ვ. ჭიპაშვილი- საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დაეთანხმა ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებას

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიში უნდა განვიხილოთ, რაც შეეხება აუდიტის ანგარიშს, რაც დასკვნა დაიდო ჩვენ ამას ვაპროტესტებდით და ახალი არაფერია, გადავიტანოთ.

მ. ბარბაქაძემ საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, ვინაიდან მერის საქმიანობის ანგარიშის განხილვას დაემთხვა სახელმწიფო აუდიტის დასკვნა, სადაც გარკვეული ღონისძიებებია გასატარებელი, როგორც საკრებულოს ისე მერიის მიერ, ვეთანხმები კოლეგების აზრს, რომ ორივე ანგარიშის განხილვა მოხდეს მარტის მორიგ სხდომაზე და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი არ იქნეს შეტანილი საკრებულოს 2020 წლის 03 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში და მისი განხილვა მოხდეს მარტის მორიგ სხდომაზე.

2. დაევალოს საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს განიხილონ წარმოდგენილი ანგარიშები და განხილვის შედეგებზე დასკვნა წარმოუდგინონ საკრებულოს.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხის განხილვა გადაიდო, ბიუროს წევრთა მიერ მერთან, კითხვა - პასუხის რეჟიმში მოხდა მსჯელობა, როგორც ანგარიშის ისე აუდიტის დასკვნის ირგვლივ.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, ვაცხადებდით რომ ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით მერიის მიერ არ იყო შესაბამისი რეაგირება, მაგრამ ვმოქმედებდით კანონის ფარგლებში და ვითვალისწინებდით ადამიანურ ფაქტორებს საბიუჯეტო ცვლილება სამჯერ განვახორციელეთ მთავრობის განკარგულების საფუძველზე ინფრასტრუქტურის კუთხით და ჯამში 1290 ათასი ლარით შევამცირეთ ბიუჯეტი

ვ. გელაშვილმა საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ეს თანხა წელს გადმოვიდა და იმავე პროექტებს მოხმარდება.

ნ. თოფურიძემ მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ეს ხარაგაულია და ძალიან გვიჭირს გადაწყვეტილების მიღება, 2-3 ჯერ გვიწევს ტენდერის გამოცხადება, თავიდან ვითვალისწინებდით მეწარმის თხოვნებს, მაგრამ ბოლოს 16 -ს შეუწყვიტეთ ხელშეკრულება.

თ. ავალიშვილმა 1300 000 ლარი დაგვაკლდა, ეს თანხა, რომ გახარჯულიყო ხელახლა ხომ ვეღარ მოითხოვდით. „ნიუგრუპთან" 3 წლის განმავლობაში თანამშრომლობდით არაკეთილსინდისიერ მეწარმესთან, თქვენ ჩამოსულები ხართ, წახვალთ და ხარაგაულს დარჩება დანგრეული ინფრასტრუქტურა.

ნ. თოფურიძემ აღნიშნა, რომ ყველას ერთად ვერ შეუწყვეტ ხელშეკრულებას,, დღეის მდგომარეობით არაკეთილსინდისიერ მოქალაქეებთან შეწყვეტილია ყველა ხელშეკრულება,2020 წელს თანხა იყო 3 მლნ და ის თანხა 1300 000 ლარი ახლიდან გაგვაქვს ტენდერზე.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს დავპირდით საღანძილის მოსახლეობას, რომ სტიქიით დაზიანებული ხიდ - ბოგირები აღდგებოდა, დღეის მდგომარეობით აღდგენილია ზარანის ხიდი კარგად გაკეთდა რა ეშველება სხვებს.

ნ. თოფურიძემ უპასუხა რაც შეეხება 3 ხიდ- ბოგირს, მეწარმეს აპრილამდე აქვს ვადა, კარგი ინდმეწარმეა და იმედი მაქვს გააკეთებს ამ დროში.

ვ.ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ 2020 წლის პროექტების ჩამონათვალში ბაზალეთი არ ჩანს , რას ფიქრობთ ბაზალეთში შესასვლელ გზაზე, იქნებ მიაქციოთ ყურადღება ქროლში წყლის საკითხს.

ნ. თოფურიძემ აღნიშნა , რომ პროექტების შედგენაში მონაწილეობა არ მიმიღია, საკრებულომ გადააგზავნა გუბერნიაში, ჩამოაგზავნა მერიაში და ჩვენ ამოვაგზავნეთ მოსაწონებლად, რაც შეეხება ბაზალეთის შესასვლელს ეს საკითხი გადაწყდება რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის დასრულების შემდეგ.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

აზრი გამოთქვეს:

პ გოგოლაძემ აღნიშნა დაბაში სპორტული მოედნის მოსაწყობად გამოყოფილი თანხა უკეთესი იქნებოდა მოხმარებოდა მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების სადარბაზოების კეთილმოწყობას

ნ.თოფურიძემ კითხვით მიმართა პ. გოგოლაძეს ხომ ვერ მეტყვით, რატომ დაინგრა არსებული სტადიონი და უპასუხა მის მიერ დასმულ შეკითხვას, რომ ახალგაზრდებისათვის სტადიონის გაკეთება აუცილებელია, რადგან მათი ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით დიდია, რაც შეეხება მრავალბინიან სახლებს ბინების ფასადების რეაბილიტაცია ჩასმული გვაქვს მაგ. გიმნაზიის წინ მდებარე ბინა, ვერ გავიგე, რა შუაშია სადარბაზოები.

პ.გოგოლაძემ უპასუხა, არ იყო ნორმალური საფარი, აიჭრა ერთი ნაწილი და გამოსაყენებლად გახდა უვარგისი.

თ. ავალიშვილმა გააპროტესტა სახელფასო ფონდის ზრდა ბიუჯეტში ხელფასების მატების კუთხით და მოითხოვა აღნიშნული თანხით გაეზარდათ სოციალური პაკეტი.

ნ. თოფურიძემ უპასუხა, ეს ადამიანები, რომლებიც დასაქმებულია მერიაში ჩვენი მოქალაქეები არ არიან? და თუ მაქვს შესაძლებლობა რატომ არ უნდა მოუმატო?

მ. ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ ის არ ეთანხმება სახელფასო ფონდი ზრდას .

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა თუ ვინმე კონკრეტული თანამდებობის პირი არ ასრულებს თავის მოვალეობას ის უნდა წავიდეს სახლში, ხელფასები უნდა გავზარდოთ.

პ. გოგლაძემ აღნიშნა, რომ მე მაქვს ჩემი მოსაზრება ხელფასები უნდა გაიზარდოს მხარს დაუჭერ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 03 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 03 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას სხდომაზე საკითხის განხილვა

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურის უფროსის, კ. გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხზე მსჯელობა არ გამართულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 03 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 03 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხზე მსჯელობა არ გამართულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 03 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 03 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 თებერვლის სხდომის დღის წესრიგი.(თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 თებერვლის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/76 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი „დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის“ ერთი თვით ვადის გაგრძელების შესახებ

მომხს: მალხაზ ფხალაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ” ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმარ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**